№65 2016 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის (ს/ნ: 402019917) უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტი) გადაცემაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/ნ: 402019917), უსასყიდლო სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტი), პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ვადით, გადასცეს ქ. თბილისში, თემქის დასახლებაში, მე-11 მიკრო/რაიონის მე-3 კვარტალში, ნაკვეთ 01/10-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე მიმაგრებული №1, №2 და №3 შენობა-ნაგებობები (ს/კ: 72.13.42.224).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ძირითად საქმიანობასთან ერთად, ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს მიეცეს უფლება, დამფუძნებელთა კრების თანხმობით გადაცემული უძრავი ქონება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განკარგოს ისეთი მიზნებისათვის, რომლებიც შესაძლებელია სცილდებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**